

1.ფინანსური ანგარიშგება

შპს Victory

აქტივები		
მიმინარე აქტივები	2022	2023
ნაღდი ფული	337294	135399
საბანკო ანგარიში	42666	69591
მოთხოვნები საწარმო პერსონალის მიმართ	59	3287
გადახდილი ავანსები	212658	124000
სასაქონლო მარაგი	888	2079
წინასწარ გაწეული ხარჯები	13750	4610
მთლიანი მიმდინარე აქტივები	607315	338966

გრძელვადიანი აქტივები		
მიმინარე აქტივები	2022	2023
მიმინარე საშუალებები	108224	85318
მიმინარე საშუალებების ცვეთა	59314	26998
არამატერიალური აქტივი	0	0
მთლიანი გრძელვადიანი აქტივი	108224	85318


ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები	2022	2023
კრედიტორული დავალიანება	65710	53622
საგადასახადო ვალდებულებები	-2219	-2169
ავანსად მიღებული შემოსავალი	0	0
მთლიანი ვალდებულებები	63491	51453

კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2022	2023
გაუნაწილებელი მოგება ზარალი	40000	40000
მიმდინარე წლის მოგება ზარალი	612048	332831
	652048	705783

დირექტორი
ემრე ქაჯარ

ბუღალტერი
მუხრან ღუმბაძე

17.12.2024



2.სრული შემოსავლების ანგარიშგება


შპს Victory

შემოსავლები	2022	2023
შემოსავლები საოპერაციო საქმიანობიდან	2933393	2448936
შემოსავლები არასაოპერაციო საქმიანობიდან	26853	14982
სულ შემოსავლები	2960246	2463918


საოპერაციო ხარჯები	2022	2023
სახელფასო ხარჯი	140002	186863
საიჯარო ქირა ფართის	84000	84000
საიჯარო ქირა აპარატების	540464	463529
კომუნალური ხარჯები	1489	1472
საბანკო მომსახურების საკომისიო	9748	11743
დაცვის მომსახურების ხარჯი	1620	1620
ბირჟების ამორტიზაცია	384800	496000
ლიცენზიების ამორტიზაცია	200000	360764
გახარჯული საქონლის ხარჯი	27065	13778
სხვა ხარჯი	102263	138366
სულ ხარჯი	1491451	1758135

	2022	2023
მოგება ზარალი	1468795	705783

დირექტორი
ემრე ქაჯარ



ბუღალტერი
მუხრან დუმბაძე



17.12.2024

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას

შპს Victory


2023	საწესდებო კაპიტალი		გაუნიწალიებელი მოგება ზარალი
საწესდებო კაპიტალი ზრდა შემცირება	40000		332831

2022 წელი	საწესდებო კაპიტალი		გაუნიწალიებელი მოგება ზარალი
საწესდებო კაპიტალი ზრდა შემცირება	40000		612048

დირექტორი
ემრე ქაჯარ



ბუღალტერი
მუხრა დუმბაძე



17.12.2024

შპს VICTORY

ს/კ 445422873

ფინანსური ანგარიშგება

2023 წელი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოების
(მსს ფასს) მიხედვით

მის: ქ.ბათუმი ქუთაისის ქ# 23

საქმიანობის მიმოხილვა

შპს VICTORY

რეგისტრაციის თარიღი: 15.03.2013

იურიდიული მისამართი: ბათუმი საიათნოვას # 3

ფაქტიური მისამართი: ბათუმი ქუთაისის # 23

დირექტორი: გივი ნიჟარაძე

კომპანიის შესახებ

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს
სათამაშო აპარატების სალონი

შინაარსი

- 1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. სრული შემოსავლების ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
- 4.ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა
და განმარტებით შენიშვნები
- 5.მფლობელობაში არსებული ლიცენზი(ებ)ის სახე

4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს “VICTORY” (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 15 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 445422873

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი. საიათნოვას ქუჩა, №3 . ფაქტიური მისამართი: საქართველო, ბათუმი. ქუთაისის ქ # 23.

ორგანიზაციას არ გააჩნია მშობელი საწარმო ან სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაცია გარდა წესდებით დანიშნული დირექტორისა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სათამაშო არატების სალონის მოწყობა

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია:

გივი ნიჟარაძე, 61010006967.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებლებია:

ხასან ლემსაძე, 61001025859 100%

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

შპს შპს VICTORY - ის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით (მსს ფასს) . საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით , ფულად ერთეულში ქართული - ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ საწარმო ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს

საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.

3. საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.
საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით , რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთა ძირითად საშუალებებს ერიცხებათ 10 წლიანი პერიოდით.

არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისაგან. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა განისაზღვრება 15 % - ით.

ადიარების შეწყვეტა

თავდაპირველად ადიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის ადიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის ადიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის ადიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი ადიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების ადიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ადიარდება მისი შესაბამის შემოსავალი.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, პრემიები, წილობრივი ანაზრაულება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშგებებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებული საქონლეულზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის შესაბამისად.


ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც


ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისაგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დრეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად

დირექტორი: **ემრე ქაჯარ**



ბუღალტერი: **მუხრან დუმბაძე**



17.12. 2024